საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

მეოთხე დისციპლინური კოლეგია:

ინგა სეხნიაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ირაკლი კორძახია - კოლეგიის წევრი

ხათუნა ფურელიანი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ნ. ქ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 10.04.2019

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 045/19

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ნ. ქ.-ს მიმართ /სიითი N / სპეციალიზაცია საერთო

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ნ. ქ.-ს მიმართ ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1.1 2019 წლის 10 აპრილს „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ნ. ქ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ნ. ქ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საპროცესო კოლეგიის მიერ საქმის განხილვის ეტაპზე საჩივრის ავტორის ინტერესებს წარმოადგენდნენ: მ. ც., დ. ც., და ზ. ქ..

1.2 2019 წლის 06 ივნისს საპროცესო კოლეგიამ დააკმაყოფილა საჩივრის ავტორის წარმომადგენელთა შუამდგომლობა მოწმეთა დაკითხვის თაობაზე. წარმომადგენლებმა 2019 წლის 27 ივნისს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე განმარტეს, რომ მოწმეთა სახით დაბარებულმა პირებმა - ლ. და მ. ქ.-ებმა უარი განაცხადეს მოწმის სახით გამოკითხვაზე, რადგან მათზე ზეგავლენა მოახდინა ნ. ქ.-მ.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატი ნ. ქ. არის ოჯახის წევრი - შვილიშვილის მეუღლე. 2019 წლის 03 იანვარს საჩივრის ავტორთან სახლში სტუმრად მივიდა სხვა ოჯახის წევრებთან ერთად ადვოკატი ნ. ქ.-ც, რომელმაც ნ. ქ.-ს განუცხადა, რომ მისმა შვილმა - ზ. ქ.-მ მისი

„საცხოვრებელი სახლი გადაიფორმა“, შემდგომ განუცხადა, რომ შეეძლო მისთვის გაეწია საადვოკატო მომსახურება იმ საქმესთან დაკავშირებით, რაც ეხებოდა ნ. ქ.-ს საცხოვრებელი სახლის დემონტაჟის სანაცვლოდ სახელმწიფოსგან დამატებით კომპენსაციის სახით 200 000 ლარის მიღებას და მის სახელზე გაეცა მინდობილობა. თავდაპირველად, აღნიშნულზე, ნ. ქ.-მ ადვოკატს განუცხადა, რომ მის სახელზე მინდობილობა ადრე უკვე გაცემული ჰქონდა, ამასთან მისი ქონების საკომპენსაციო თანხა უკვე განსაზღვრული იყო და საქმესთან დაკავშირებით დახმარება არ სჭირდებოდა.

1.4 ამავე პერიოდში, იმ ფონზე, როდესაც მხედველობა თითქმის დაკარგული ჰქონდა, მისმა შვილმა შ. ქ.-მ (ნ. ქ.-ს მამამთილმა) და ადვოკატმა ნ. ქ.-მ უთხრეს, რომ „ერთ ადგილზე უნდა წაეყვანათ და შემდგომ მობრუნდებოდნენ“. საჩივრის ავტორის განმარტებით, მან იფიქრა, რომ ექიმთან მიდიოდა, თუმცა ნაცვლად ამისა ადვოკატმა ნ. ქ.-მ ის სანოტარო ბიუროში მიიყვანა. ვინაიდან, ის ენდობოდა ნ. ქ.-ს, როგორც ოჯახის წევრს და მართლაც სურდა მისი დახმარება, ამიტომ ადვოკატის სახელზე 2019 წლის 04 იანვარს გასცა ახალი მინდობილობა სახელმწიფოსგან დამატებითი კომპენსაციის მიღების საქმეზე საადვოკატო მომსახურებისთვის. ამავე დღეს, ადვოკატმა ნ. ქ.-მ ნ. ქ. მიიყვანა იუსტიციის სახლში, მათთან ერთად იმყოფებოდნენ მ. და ლ. ქ.-ები, რა დროსაც, ადვოკატი ნ. ქ. რიგის ნომრის აღების გარეშე მივიდა იუსტიციის სახლის ოპერატორთან - ესაუბრა მას დაახლოებით 10-15 წუთი და შემდგომ, დაუძახა ნ. ქ.-ს და ფურცელზე ხელის მოწერა სთხოვა. ადვოკატმა მომჩივანს განუმარტა, რომ ხელი მოაწერინა ,,დაკარგული ქონების მის სახელზე დაბრუნებას“. ადვოკატმა საჩივრის ავტორს სინამდვილეში ხელი მოაწერინა ნასყიდობის ხელშეკრულებაზე, რომლის მიხედვითაც, თითქოს ის ყიდდა თავის საცხოვრებელ სახლს 50 000 დოლარად, მყიდველებად მითითებულნი იყვნენ - შ. ქ. და მ. ქ., აგრეთვე, ხელშეკრულებას ხელს აწერს ლ. ქ., იმის თაობაზე, რომ ნ. ქ. არის უსინათლო და მისი თხოვნით და დავალებით აწერს ის ხელს წინამდებარე ხელშეკრულებას და უთითებს, რომ ტექსტის შინაარსი შეესაბამება ნ. ქ.-ს ნებას. საჩივრის ავტორის განმარტებით, მისთვის, არც ადვოკატ ნ. ქ.-ს და არც სხვას, მათ შორის იუსტიციის სახლის თანამშრომლებს არ განუმარტავს, რომ ხელს აწერდა ზემოაღნიშნულ „ნასყიდობის ხელშეკრულებას“. აღნიშნული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, იმავე დღეს დაიწყო უძრავ ქონებაზე სარეგისტრაციო წარმოება.

1.5 საპროცესო ეტაპზე საქმის განხილვისას, საჩივრის ავტორის წარმომადგენლთა განმარტებით, 2019 წლის 25 მარტს ნ. ქ.-მ მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მ. და ლ. ქ.-ებთან ერთად და მოითხოვა ამავე წლის 04 იანვარს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმება, რაც დასტურდება საჯარო რეესტრში წარდგენილი განცხადებით და ვიდეო ჩანაწერით. ამავე დღეს სარეგისტრაციო წარმოება შეწყდა.

1.6 2019 წლის 26 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა სარჩელით ადვოკატმა ნ. ქ.-მ ნ. ქ.-ს წინააღმდეგ და მოითხოვა იურიდიული მომსახურების თაობაზე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება - თანხის დაკისრება და ამავე დროს იშუამდგომლა ნ. ქ.-ს უძრავი ქონების დაყადაღება. აღნიშნული შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე დაკმაყოფილდა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2019 წლის 27 მარტის განჩინებით. ზემოაღნიშნულ სარჩელში ადვოკატმა ნ. ქ.-მ აგრეთვე მიუთითა, რომ 2019 წლის 25 მარტს მისთვის ცნობილი გახდა, რომ ნ. ქ.-მ მის სახელზე გაცემული მინდობილობა გააუქმა.

1.7 საპროცესო კოლეგიის მიერ საქმის განხილვის ეტაპზე, საჩივრის ავტორის წარმომადგენლის მ. ც.-ის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატმა ნ. ქ.-მ თავად დაადასტურა ნ. ქ.-ს მიერ მის სახელზე გაცემული მინდობილობის გაუქმების ფაქტი, 2019 წლის 28 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა, როგორც ნ. ქ.-ს წარმომადგენელმა სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდის წინააღმდეგ.

1.8 საჩივრის ავტორის და მისი წარმომადგენელთა განმარტებით, ადვოკატ ნ. ქ.-ს აქვს საჩივრის ავტორის საქმის მასალები, რომელსაც არ აბრუნებს. წარმომადგენელთა განცხადებით, მათ ადვოკატ ნ. ქ.-ს წინააღმდეგ აგრეთვე მიმართეს პრკურატურას განცხადებით, რის საფუძველზეც საქმეზე დაწყებულია გამოძიება თაღლითობის ფაქტზე.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2019 წლის 30 აპრილს ადვოკატმა ნ. ქ.-მ ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება:

2.2 საჩივრის ავტორი არის ადვოკატ ნ. ქ.-ს მეუღლის - გ. ქ.-ს ბაბუა. 2019 წლის 03 იანვარს ნ. ქ.-მ შეიტყო, რომ მისმა შვილმა ზ. ქ.-მ ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე გადაიფორმა მის საკუთრებაში არსებული 3000 კვ. მ. მიწის ნაკვეთი, ამასთან საჯარო რეესტრში მიმდინარეობდა სარეგისტრაციო წარმოება ასევე მის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლის ზ. ქ.-სთვის ჩუქებასთან დაკავშირებით, რის გამოც ნ. ქ. ძალიან გაბრაზდა და ადვოკატ ნ. ქ.-ს რჩევა ჰკითხა აღნიშნულთან დაკავშირებით.

2.3 ადვოკატი ნ. ქ.-ს მიერ გაწეული კონსულტაციის საფუძველზე, ნ. ქ.-მ გადაწყვიტა ზ. ქ.-სთვის გაცემული მინდობილობა გაეუქმებინა, რის გამოც ადვოკატს, როგორც ოჯახის წევრს სთხოვა მეორე დღეს გაყოლოდა სანოტარო ბიუროში და იუსტიციის სახლში. ადვოკატის განმარტებით, მომჩივანმა გადაწყვიტა, მისი საცხოვრებელი სახლი თანასაკუთრების უფლებით აღრიცხულიყო მასზე, მის შვილზე - შ. ქ.-სა და მისი გარდაცვლილი შვილის გ. ქ.-ს მეუღლეზე - მ. ქ.-ზე.

2.4 ადვოკატის განმარტებით, 2019 წლის 04 იანვარს ნ. ქ.-მ გააუქმა ზ. ქ.-ს სახელზე გაცემული მინდობილობა და იმავე დღეს საჯარო რეესტრს მიმართა განცხადებით საცხოვრებელ სახლთან დაკავშირებული სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის მოთხოვნით, ადვოკატის თქმით, მის გარდა ნ. ქ.-ს ახლდნენ შვილიშვილი ლ. ქ. და რძალი - მ. ქ..

2.5 ადვოკატის განცხადებით, საჯარო რეესტრში საცხოვრებელი სახლის თანასაკუთრებაში აღრიცხვის მიზნით მან გამოიყენა ნასყიდობის ხელშეკრულების შაბლონი, სადაც ფორმალურად მიუთითა ფასის ოდენობა „ხელშეკრულების აუცილებლობიდან გამომდინარე“ და არა იმიტომ, რომ მხარეთა შორის მართლაც იყო თანხის გადახდაზე შეთანხმება ამასთან, ადვოკატის განმარტებით, ნასყიდობის ხელშეკრულება მანვე შეავსო მხარეთა მოთხოვნით.

2.6 ადვოკატის განმარტებით, ნ. ქ. გაცნობილი იყო ხელშეკრულების შინაარსს, რომელსაც მან ხელი მოაწერა იუსტიციის სახლში, ვინაიდან, ხელმოწერის შემდეგ, შვილიშვილმა ლ. ქ.-მ წაუკითხა მას ხელშეკრულების ტექსტი, რომელსაც „ხელმოწერა გადაანდო“ ნ. ქ.-მ და ამასთანავე, იუსტიციის სახლის ოპერატორმა გარიგების სამართლებრივი შედეგები განუმარტა.

2.7 ადვოკატის განმარტებით, ნ. ქ.-ს საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლი დაექვემდებარა ექსპროპრიაციას. ადვოკატ ნ. ქ.-ს სახელზე 2019 წლის 04 იანვარს გაცემული მინდობილობა

მიზნად ისახავდა სწორედ აღნიშნულ საქმეზე საკომპენსაციო თანხის მოთხოვნაზე დავის წარმოებას სასამართლოში საქართველოს მუნიციპალური ფონდის წინააღმდეგ. ნ. ქ.-ს მისთვის არც ერთი დოკუმენტი არ გადაუცია, ამიტომაც მისთვის გაუგებარია რა დოკუმენტების დაბრუნებას ითხოვს მომჩივანი, ამასთან, ადვოკატის განცხადებით, მომჩივანს არ მიუმართავს მისთვის რაიმე დოკუმენტის დაბრუნების მოთხოვნით.

2.8 ადვოკატის განმარტებით, ნ. ქ.-მ მასთან გაფორმებული მინდობილობა ისე გააუქმა, რომ მისთვის არც უცნობებია, ამის შესახებ ადვოკატმა მხოლოდ მას შემდეგ გაიგო, რაც იგი დაუკავშირდა მომჩივანს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიმართ სასამართლოში შეტანილ სარჩელთან დაკავშირებით.

2.9 2019 წლის თებერვლის თვეში საქართველოში დაბრუნდა მომჩივანის შვილი ზ. ქ., რომელმაც შეიტყო მის მიმართ გაცემული მინდობილობის გაუქმებისა და ოჯახის წევრების მიერ საცხოვრებელი სახლის თანასაკუთრებაში აღრიცხვასთან დაკავშირებით მიმდინარე წარმოების შესახებ, რის გამოც გაბრაზებულმა, ოჯახის წევრებს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა და დაემუქრა მათ. ადვოკატის თქმით, ზ. ქ.-მ მუქარით აიძულა მოხუცი მამა, მ. ქ. და ლ. ქ. შეეცვალათ საჯარო რეესტრში მათ მიერ დადებული გარიგების შინაარსი და ეთქვათ, რომ ადვოკატმა ნ. ქ.-მ შეიყვანა ისინი შეცდომაში და მოატყუა.

2.10 ზ. ქ.-ს სახელზე 2017 წელს ნ. ქ.-მ გაცემული ჰქონდა მინდობილობა, რომლის საფუძველზეც ზ. ქ.-მ საჩივრის ავტორის ნების გარეშე მის საკუთრებაში არსებული ქონების გაყიდვის მიზნით გააფორმა ფიქტიური ნასყიდობის ხელშეკრულება, თუმცა აღნიშნული შეთანხმების საფუძველზე სარეგისტრაციო წარმოება შეწყდა, რადგანაც ადვოკატ ნ. ქ.-ს მიერ ნ. ქ.-ს წინააღმდეგ წარდგენილი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მოთხოვნის ფარგლებში, დაყადაღდა ნ. ქ.-ს ქონება. ადვოკატის განცხადებით, მოცემული სარჩელი ეხებოდა 2016-2018 წლებში ნ. ქ.-სთვის გაწეულ საადვოკატო მომსახურების სანაცვლოდ ჰონორარის მოთხოვნას.

2.11 ადვოკატის განცხადებით, საეჭვოა, რომ მის მიმართ ეთიკის კომისიაში წარდგენილი საჩივარი ნამდვილად ნ. ქ.-ს ნების გამოხატულებაა, რადგან ის ნაწილობრივ უსინათლოა და შესაძლოა ზ. ქ.-ს ინიციატივითაა შედგენილი განცხადება.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი კოლეგიის პოზიცია:

3.1 2019 წლის 15 ნოემბერს საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ნ. ქ.-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 საპროცესო კოლეგიამ აღნიშნა, რომ შესაძლოა, ადვოკატმა ნ. ქ.-მ საჩივრის ავტორთან შეუთანხმებლად განახორციელა იურიდიული მოქმედებები, მათ შორის ნ. ქ.-ს ხელი მოაწერინა ნასყიდობის ხელშეკრულებაზე, რომლის თაობაზე ის ინფორმირებული არ იყო და მისთვის არასასურველი შედეგი დადგა, შესაძლოა, ადვოკატის მხრიდან, დაირღვა ინფორმირების ვალდებულება, კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობისა და კეთილსინდისიერად წარმომადგენლობის ვალდებულება.

3.3 შედეგად დისციპლინური დევნა აღიძრა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 6.2 მუხლის, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის (აპეკ) მე-5 მუხლის, მე-8 მუხლის მე-5, მე-6 ნაწილების შესაძლო დარღვევის საფუძვლით.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

განხილვის კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ნ. ქ.-ს მიმართ ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების მე-9(1) მუხლის „ბ" პუნქტის ანალოგიით გამოყენების საფუძველზე უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 დისციპლინური საქმის განხილვის ეტაპზე, კოლეგიას საჩივრის ავტორის წარმომადგენელთა მიერ და ადვოკატ ნ. ქ.-სგან ეცნობათ საჩივრის ავტორ ნ. ქ.-ს გარდაცვალების ფაქტის შესახებ. განხილვის კოლეგიის მიმართვის საფუძველზე სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ 2020 წლის 01 ოქტომბერს კომისიისათვის მიმართული წერილით, დასტურდება, რომ ნ. ქ. გარდაიცვალა 2020 წლის 15 აპრილს.

5.2 საჩივრის ავტორის გარდაცვალების ფაქტმა გამოიწვია მის მიერ დისციპლინური საქმის განხილვის საპროცესო ეტაპზე წარმომადგენლების სახელზე გაცემულ რწმუნებულებათა გაუქმება. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველია უფლებამოსილების გამცემი პირის გარდაცვალება (სსკ-ის მუხლი 109(დ). შესაბამისად, კომისია ვერ შეაფასებს მ. ც.-ის და დ. ც.-ის მიერ ნ. ქ.-ს გარდაცვალების შემდეგ წარმოდგენილ დამატებით მასალებს დისციპლინური საქმეზე.

5.3 დისციპლინური დევნა ადვოკატ ნ. ქ.-ს მიმართ აღძრულია საჩივრის ავტორის, როგორც მისი კლიენტის მიმართ ინფორმირების ვალდებულების, მისი ინტერესების პრიორიტეტულობისა და კეთილსინდისიერად წარმომადგენლობის ვალდებულების შესაძლო დარღვევის ფარგლებში. სადავო გარემოებები უშუალოდ უკავშირდება საჩივრის ავტორის მიმართ ადვოკატის მიერ განხორციელებულ სავარაუდო ქმედებებს და შესაბამისად, საქმის არსებითი განხილვისთვის უნდა არსებობდეს საჩივრის ავტორის პოზიცია, რაც იქნებოდა საქმის შეჯიბრობითობის საფუძველზე განხილვის საფუძველი. დებულება არ ითვალისწინებს უფლებამონაცვლეობას საჩივრის ავტორის გარდაცვალებისას საჩივრის ავტორის და ადვოკატის ურთიერთობის სპეციფიკიდან გამომდინარე, როდესაც სხვა პირისთვის ხელშეუხებელი და კონფიდენციალურია ადვოკატ-კლიენტის კომუნიკაციაა. ის რომ დებულება სდუმს ამ საკითზე, ეს არ წარმოადგენს საპროცესო რეგულირების ხარვეზს. აღნიშნულ პირობებში კოლეგიას შეუძლებლად მიაჩნია, იმსჯელოს განმცხადებლის უფლებამონაცვლეობაზე.

5.4 დებულებით პირდაპირ არ არის დარეგულირებული საჩივრის ავტორის გარდაცვალების შემთხვევა, თუმცა 9.1.ბ მუხლი ითვალისწინებს საქმის წარმოების შეწყვეტას, როდესაც განმცხადებელი ქმედუუნაროა. სამოქალაქო კოდექსის 11-ე მუხლის თანახმად ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა არის უნარი, ჰქონდეს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები, რაც წარმოიშობა დაბადების მომენტიდან და წყდება გარდაცვალებით. სამოქალაქო კოდექსის 12.1 მუხლის შესაბამისად უფლებაუნარიანობის სრული მოცულობით განხორციელებისთვის ფიზიკური პირი, ზოგადი წესით, სრულწლოვანების მიღწევისთანავე ხდება ქმედუნარიანი. შესაბამისად ქმედუნარიანობა, ისევე როგორც უფლებაუნარიანობა წყდება ფიზიკური პირის გარდაცვალებით. რადგან განმცხადებელი გარდაიცვალა, ის ვერ იქნება უფლებაუნარიანი და ქმედუნარიანიც, რაც საქმის შეწყვეტის საფუძველია დებულების 9.1.ბ მუხლის შესაბამისად, რის გამოც, განხილვის კოლეგია მიიჩნევს, რომ საქმის წარმოება უნდა შეწყდეს.

III სარეზოლუციო ნაწილი

გამომდინარე იქიდან, რომ დისციპლინური საქმის განხილვის ეტაპზე, საჩივრის ავტორი გარდაიცვალა, ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების“ 9(1) მუხლის „ბ“ პუნქტით და დაადგინა:

1. დისციპლინურ საქმეზე №045/19 ადვოკატ ნ. ქ.-ს მიმართ /სიითი №/ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეს მხარეს.
2. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ინგა სეხნიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ირაკლი კორძახია/

კოლეგიის წევრი: /ხათუნა ფურელიანი/